იქნება
სკოლა
სპორტული
კომპლექსით!

●

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 164 (6725)

23 1980 წ. აგვისტო, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე სექტემბრის ზარი დარეკავს...



მართლაც რომ დაამშვენა საბურთალოს მასივი ჩრდილოეთ ფერდობზე ტერასებად გაშენებულმა მაღლივმა კოპწია შენობებმა. ეს ახალი საცხოვრებელი მიკრორაიონი გახლავთ, რომლისთვისაც დამპროექტებლებს რელიეფის შესაფერისი სახელიც გამოუძებნიათ — „შატილი".

ხუთი წელიწადიც არ გასულა პირველი სახლის საძირკვლის ჩაყრიდან და „შატილი" უკვე სრულფასოვანი მიკრორაიონის უფლებებით სარგებლობს. აქ არის რამდენიმე ათეული 14 და 16-სართულიანი სახლები, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. აქედან ხელისგულივით მოჩანს მთელი თბილისი. სუფთა ჰაერი და ბინებში გაყვანილი ცხელი სამკურნალო წყალი კურორტის შთაბეჭდილებას უქმნის აქ ამოსულ კაცს.

პირველ სექტემბერს „შატილელი" მოსწავლეები კიდევ ერთი ახალი სკოლის საექსპლოატაციოდ გადაცემას იზეიმებენ. სკოლა 120-ე ნომრით იარსებებს. მისი მშენებლობა № 13 ტრესტს მიანდვეს. ტრესტმა მშენებლობის პასუხისმგებლობა № 8 სამშენებლო სამმართველოს დააკისრა. კოლექტივს ამ საქმეში საკმაო გამოცდილება გააჩნია, მაგრამ...

ვ. მელიქიძე, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი:

— 120-ე სკოლა სრულიად განსხვავებული პროექტით შენდებოდა და თავიდან, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა, თუმც, გამოცდილმა მშენებლებმა მალე აუღეს ალღო და, როგორც ხედავთ, მშენებლობა უკვე დასრულების ფაზაშია.

განსაკუთრებით გაგვიჭირდა სპორტული კომპლექსის შენება. როგორც მოგეხსენებათ, ახალი პროექტის მიხედვით მიმდინარე წელს და საერთოდ ამიერიდან სკოლები საცურაო აუზებით აშენდება. აუზი აუზია, მაგრამ საქმე ისაა, რომ სკოლის აუზი ორიგინალურად არის დაპროექტებული — ასე ვთქვათ, „ჰაერში ჰკიდია" ბეტონის სვეტებზე. ამიტომ მეორე სართულზე მოწყობილი აუზი მთლიანად მონოლითია და განსაკუთრებულად საიმედო იზოლაციას მოითხოვს. სკოლისა და სპორტული კომპლექსის მშენებლობა გასული წლის ნოემბერში დავიწყეთ, ყველაფერი გრაფიკის მიხედვით კეთდებოდა, მაგრამ ხშირად მასალების უქონლობის გამო ვფერხდებოდით და ერთ ცვლაში გვიწევდა მუშაობა. ახლა კი ქალაქის საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ ვერ უზრუნველყო აუზის ტექნიკურ მოწყობილობათა მოწოდება. ამის გამო აუზს პირველი სექტემბრისათვის ალბათ ვერ ჩავაბარებთ...

არც მშენებლებს და არც ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ, რომ კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მუშაკებს არ ადარდებთ აუზის ბედი და გულხელდაკრეფილნი სხედან, მაგრამ აუზი რომ შენდებოდა, ამის შესახებ ხომ უკვე წლის დასაწყისშივე იცოდნენ ქალაქის საბჭოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში? ნუთუ 9 თვის განმავლობაში გაძნელდა თადარიგის დაჭერა?

ერთი ციცქნა საცურაო აუზის მოწყობილობა კი არა, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ურთულესი 3 ჰიდროტურბინა და აგრეგატის მოწყობილობები რალაც ოთხიოდ თვეში ჩამოიტანეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და დაამონტაჟეს კიდეც ენგურჰესელმა მშენებლებმა და მემონტაჟეებმა...

— რაც შეეხება ფიზკულტურის დახურულ დარბაზს და ღია მოედნებს, ამათ აუცილებლად პირველი სექტემბრისათვის ჩავაბარებთ! — გვითხრა დასასრულს ვ. მელიქიძემ.

ახლა მოდით ამ ახალი სკოლის დირექტორს **რ. თვალაბეიშვილს** მივცეთ სიტყვა:

— კმაყოფილი ხართ მშენებელთა ნახელავით?

— მშენებლებმა დიდი მონდომებით იმუშავეს. მათ მიმართ არავითარი პრეტენზია არ გაგვაჩნია.

— სპორტულ კომპლექსზე რას იტყვით?

— სიმართლე უნდა გითხრათ, ასეთი სრულყოფილი კომპლექსი ჩემი პედაგოგიური მუშაობის პრაქტიკაში ჩვენს რესპუბლიკაში არსად შემხვედრია. განსაკუთრებით საცურაო აუზი გვახარებს, ბოლოს და ბოლოს მივედით იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე რთული სასკოლო პროგრამის პირობებში სკოლაში აუცილებელია სრულყოფილი სპორტული კომპლექსი. სამწუხაროდ, სკოლიოზი მოსწავლეებში მატულობს, ხერხემლის გამრუდებასთან ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური საშუალება კი ფიზკულტურა და სპორტია, განსაკუთრებით — ცურვა. შტატის მიხედვით, ჯერჯერობით, ცურვის ორი ინსტრუქტორი გვეყოლება. „შატილი" ახალი დასახლებაა, მობინადრეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად თანდათანობით ჩვენც მოგვემატებიან ბავშვები და შემდეგ ალბათ ცურვის კიდევ ორ ინსტრუქტორს ავიყვანთ. გვახარებს ახალი ტიპის კომბინირებული ფიზკულტურის დარბაზი, რომელიც განკუთვნილი იქნება კალათბურთის, ფრენბურთისა და ტანვარჯიშისათვის...

ნ. იმედაშვილი.

• • •

სურათებზე: წინა პლანზე — სკოლის სპორტული კომპლექსის შენობა; (მარცხნიდან) სკოლის დირექტორი რ. თვალაბეიშვილი, სკოლის საქმეთა მმართველი მ. ფანჩავიძე, № 8 სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ვ. მელიქიძე, სამუშაოთა მწარმოებლები: გ. ნებიერიძე, გ. კუპუხიძე, სამშენებლო სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანი ა. სახელაშვილი; მოწინავე შემდუღებელი თ. მჭედლიძე; ახალსახლობა.

ს. ვართანესოვის ფოტოები.

ვულოცავთ შოთა ხაბარელს!

მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებში თვალსაჩინო სპორტული მიღწევისთვის, იმისათვის, რომ შეჯიბრების დროს გამოავლინა მაღალი მორალურ-ნებელობითი თვისებები და სიმტკიცე, სსრ კავშირის . მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება მიანიჭა ოლიმპიურ ჩემპიონს ჭიდაობა ძიუდოში **შოთა დიმიტრის ძე ხაბარელს.**

წოდებების მინიჭება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ფარიკაობაში სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ნატალია ზანგურაშვილს („სპარტაკი", ქუთაისი);

ალექსანდრე ლელაძეს („ლოკომოტივი", ქუთაისი);

შოთა მჭედლიშვილს („სპარტაკი", თბილისი);

გოგიტა ნიკოლეიშვილს („სპარტაკი", რუსთავი);

თენგიზ ჟვიტიაშვილს („განთიადი", ქუთაისი);

გიორგი ჩაჩხიანს („ლოკომოტივი", ქუთაისი).

• • •

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიე) საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება ფარიკაობაში მიანიჭა თბილისელ **ი. ოხიპოვს.**

● ველოსპორტი

წინ ახალი სტარტებია

ბუდაპეშტში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობის" თასის გათამაშება, სადაც წარმატებით იასპარეზა თბილისელმა იური კაზაკოვმა. მან საბჭოთა კვარტეტთან ერთად გაიმარჯვა 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში (4.32,97) და პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ი. კაზაკოვი 17 წლისაა, სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრი, ვარჯიშობს ა. თავაძის ხელმძღვანელობით. ამ ველოსიპედისტმა ორიოდე წლის წინ მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება, შარშან კი ქვეყნის ნაკრებში ჩაირიცხა და კარგად გამოვიდა რამდენიმე საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში.

აი, რა თქვა ი. კაზაკოვმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში:

— ბუდაპეშტში ჩვენთან ერთად გამოდიოდნენ გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, კუბისა და უნგრეთის ველოსიპედისტები. საერთო გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრებმა საკმაო უპირატესობით გაიმარჯვა და „მეგობრობის" თასიც დაისაკუთრა. საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრებები ცალკეულ სახეობებში. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ფაქტიურად ნახევარფინალში გადაწყდა ყველაფერი. აქ ჩვენი მოწინააღმდეგე იყო გდრ-ის მეტად ძლიერი კოლექტივი. მეტოქეებს რამდენიმე მეტრით მივასწარით ფინიშთან, ფინალში კი შედარებით იოლად დავამარცხეთ ბულგარელი ველოსიპედისტები.

ამ დღეებში ერევანში საწვრთნელ შეკრებაზე მივემგზავრები. ჩვენი გუნდი ახლა იუნიორთა მსოფლიო პირველობისთვის მოემზადება. ერთიც მინდა ვთქვა: „საქსოფლმანქანათმშენის" ხელმძღვანელობა (მე ამ ორგანიზაციაში ვმუშაობ) ყველა პირობას მიქმნის ვარჯიშისათვის, შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის და მეც ვეცდები ამ ზრუნვას მაღალი სპორტული შედეგებით ვუპასუხო.

ნ. მუკბანიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა...“

ჩვენი საუნჯე ჩვენს ხელთაა!

„...თამაშობა ქართულად მღერათშექცეული სახელია და ესეც განიყოფების ექვსად: ასპარეზობად, მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, როკვად და შექცევად“.

სულხან-საბა ორბელიანი

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთხელ შემთხვევით, ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ეზოში, შესვენებაზე გამოსულ მოსაუბრე ისტორიკოსებს შორის მოვხვდი. ჯერ პოლიტიკაზე ბჭობდნენ, შემდეგ უცბათ თემა შეცვალეს და სპორტზე გადავიდნენ. სწორედ მაშინ მოვკარი ყური ერთ საყურადღებო ფრაზას:

— დღეს საქართველოში კაცი ვერ მოვძებნე XIX საუკუნეში შეკერილი ჩოხები რომ მორგებოდაო — თქვა ეთნოგრაფიის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ჯალაძემ. საუბარი გაგრძელდა, მაგრამ ის ფრაზა საგაზეთო „პეტიტში“ ჩაწყობილი შავი სტრიქონებივით ჩამებეჭდა მეხსიერებაში. წავედი და ვნახე. ჩოხები (სხვა დროსაც მინახავს და დეტალებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია) სხვათა შორის არც მე მომერგო (წელში არ მომწვდა). იმ ჩოხების პატრონებს საოცრად ვიწრო წელი და მოხდენილი მხარ-ბეჭი ჰქონიათ. წარმოვიდგინე იმ საუკუნის ჩვენი ახოვანი თანამემამულეები, შემდეგ გონების თვალით შევეცადე ჩემს ახლო თუ შორეულ ნაცნობებში, ნათესავებში, მეგობრებში მომეძებნა კაცი, რომელსაც ერთი ჩოხა მაინც მოერგებოდა. ბევრი ვეძებე და ჩემდაუნებურად სუხიშვილისა და რამიშვილის მოცეკვავეებზე შევჩერდი...

გამოდის, რომ საჩოხე ტანი ხუთმილიონიან საქართველოში ასკაციან (თუ გნებავთ, 200 კაციან) ანსამბლს შემორჩა!

* * *

მოდით, ანტიკური ხანის ავტორიტეტულ პიროვნებებსაც დავესესხოთ შთაბეჭდილებები:

ქსენოფონტე (ძვ. წ. 444—355 წ. წ.), ძველ ქართველებს ახასიათებს, როგორც გმირ, გაბედულ, ამაყსა და თავისუფლების მოყვარე ხალხს.

სტრაბონი (ძვ. წ. 61-წ. —ახ. წ. 24 წ.):

„სოანები (სვანები)... თითქმის პირველნი არიან თავისი სიძლიერითა და შეძლებით... ისინი ბატონობენ მეზობელ ხალხებზე... ომის დროს 200000 კაცი გამოჰყავთ“...

აგათია სქოლასტიკოსი (ლაზების შესახებ):

„ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ბრძანებლობენ. ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით... შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ“...

როგორც **ქსენოფონტე** მოგვითხრობს, შეუიარაღებელ ქართველ ტომებთანაც კი ძნელი ყოფილა ბრძოლა, განსაკუთრებით ალყის დროს...

სწორედ იმაზე გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება, რაზედაც ქსენოფონტე დაახლოებით **20 საუკუნის წინ ამბობდა:**

კარგად ჰქონდათ ქართველთა ტომებს დაყენებული ფიზიკური აღზრდის საქმე და სწორედ ამაშია სიმამაცისა და მოხერხებულობის მთელი საიდუმლოება. ეს კი ხელს უწყობდა, ეხლანდელ ტერმინს თუ მოვიშველიებთ, საუკეთესო სპორტული ფორმისა და მოხდენილი აღნაგობის შენარჩუნებას.

რაინდთა აღზრდა ბავშვობიდან იწყებოდა

როდესაც გვინდა იდეალური ფიზიკური აღზრდის მაგალითი მოვიშველიოთ, უმალ **„სპარტანულ აღზრდას“** ვახსენებთ.

მოდით, ვნახოთ როგორ ზრდიდნენ ბავშვებს საქართველოს მთიან რაიონებში:

სვანეთში, ხევში და სხვაგან აღზრდის თავისებური მკაცრი მეთოდები ჰქონდათ. სწორედ ამიტომ იყო მთიანი სასაზღვრო ზოლი შეუვალი ციხე-კედელი. ვაჟკაცობისა და თავდადების მაგალითად 300 არაგველის გმირობაც კმარა (იგივე გმირობა შედარებით ადრე ჩაიდინეს სპარტანელებმაც).

შრომისა და დაცვის მძიმე ტვირთი მამაკაცებს აწვებოდათ, ამიტომ ბიჭის დაბადება ოჯახში დიდ გვაროვნულ დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე. ბავშვების ფიზიკურ მომზადებას 7 წლის ასაკიდან იწყებდნენ უფროსების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. 7-9 წლის ბიჭი უკვე კარგად დარბოდა, ოსტატურად ეშვებოდა თხილამურებით, სწრაფად დაცოცავდა ხეზე და ჰოკზე, ხტებოდა სხვადასხვა სიმაღლეზე და გასაოცარ მიდრეკილებას ამჟღავნებდა საბრძოლო იარაღების მიმართ. ამგვარად მთიელ ბიჭუნაში ბავშვობიდან ანვითარებდნენ მეთოდურად მამაცობის ჩვევებს. მთიელთა გამოთქმით, ბიჭს „კარგი აგებულობა“ უნდა ჰქონოდა. ფიზიკური აღზრდის მეთოდებში შედიოდა აგრეთვე თოვლიან უღელტეხილებზე გადასვლა, ოჩოფეხებით სიარული, სწრაფი სირბილი (60-80 მეტრზე). მთიელი ბიჭები დაახლოებით 10-12 წლიდან იწყებდნენ ნადირობას.

როგორც ხედავთ, უხსოვარი დროიდან საქართველოში აუარებელი ეროვნული სპორტული თამაშობები ჰქონიათ, შეიძლება ითქვას — მეთოდურად ჩამოყალიბებული ფიზიკური აღზრდის სრულყოფილი სისტემაც და სწორედ ასეთი აღზრდისა და თამაშობების წყალობით ინარჩუნებდნენ ჩვენი წინაპრები შესანიშნავ აღნაგობასა და „საჩოხე ტანფეხს“.

შემდეგ რა მოხდა

ევროპიდან კაპიტალიზმის შემოჭრამ ამ წყობისთვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებები და, ამასთან ერთად, სპორტული სახეობებიც კი შემოიტანა — ეგრეთწოდებული სპორტის კლასიკური სახეობებით. აი რას წერს იმდროინდელი ქართული პრესა:

„ვაჟთა პირველ გიმნაზიაში ოფიცრები ასწავლიან ტანვარჯიშს“.

სპორტის კლასიკურ სახეობათა შორის საქართველოში ყველაზე ადრე თურმე ფარიკაობა ჩაისახა (1887 წ.). 1894 წელს თბილისში დაარსდა ფარიკაობის წრე. ზუსტად 8 წლის შემდეგ ფრანგმა მატემ ვერის დაღმართზე ფარიკაობის დარბაზი გახსნა, სადაც დადიოდნენ „ევროპულად გამოწყობილი და ევროპულად მოლაპარაკე ქართველები“.

და აი, მე-19 საუკუნის დამლევს საქართველოში **ფეხბურთის ნამდვილი „ბუმი“ დაიწყო.** ვისღა ახსოვს ქართული ჰიდაობა, ლელო ან ჯირითი. ფოთში დიდი და პატარა ბურთს დასდევს, შემდეგ ფეხბურთის „ეპიდემია“ ბათუმს გადაედო.

— ფუთბოოლ! — ცდილობენ ინგლისურად გამოთქვან ქართველებმა ფეხბურთის ნამდვილი სახელი. თანდათანობით ფეხბურთი სპორტის ნამდვილი მეფე ხდება, 1912 წლისათვის თბილისში უკვე 8 გუნდია, იმართება პირველობები. დასაწყისში ეგრეთწოდებული „კოლცონით“ გამოდიან მინდორზე, შემდეგ ტრუსები წვივებამდე მოკლდება, უფრო გვიან მუხლამდე, რაც სუსტი სქესის წარმომადგენელთა აღშფოთებას იწვევს.

სპორტის კლასიკური სახეობის გავრცელება საქართველოში ინტენსიურად გრძელდება, მსხვილ ქალაქებში და აგარაკებზე ეწყობა ინგლისური „სკეტინგ-რინგები“, რომელიც დიდ პოპულარობას პოულობს ქალებში (შემდეგ მამაკაცებშიც), პრაღიდან ჩამოსული ლუკეში ტანვარჯიშის დიდ აგიტაციას ეწევა...

ერთი სიტყვით, საქართველოში ფეხი მოიკიდა სპორტის კლასიკურმა სახეობებმა, რაც თავისთავად ცხადია, დიდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

არავისთვის ძალა არ დაუტანებიათ, გინდა თუ არა ფეხბურთი ითამაშე, ტანვარჯიში ისწავლე ან ველოტრეკზე იარეო, ალბათ მოსწონდა ხალხს და ამიტომაც მოიკიდა ფეხი „ევროპულმა სპორტმა“, მაგრამ აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, როგორ მიაწვდი სპორტის მოყვარულებს ამა თუ იმ სახეობას?

ალბათ XX საუკუნის გარიჟრაჟზე კლასიკური სპორტის პროპაგანდის ხელოვნება მაღალ დონეზე იდგა და პროპაგანდისტებიც ამ საქმის საკმაოდ კარგი პატრიოტები იყვნენ.

სწორედ ამ პერიოდიდან შეინახეს საგულდაგულოდ სკივრებში ჩვენმა წინაპრებმა ჩოხები და ქულაჯები, ნაბდები და ახალუხები (შესაძლოა სწორედ ის ჩოხები აღმოჩნდა ჯანაშიას მუზეუმში).

ამ სტატიის ავტორს მიზნად არ დაუსახავს იმის მტკიცება — გინდა თუ არა ევროპულ შარვალკოსტუმს ჩოხა-ახალუხი სჯობია და იუგოსლავურ (თუ გნებავთ ფრანგულ) ფეხსაცმელებს უძიროები. არც იმის მტკიცებას ვაპირებ, გინდა თუ არა კალათბურთს ცხენბურთი სჯობია და ძიუდოს ქართული ჭიდაობა. ეს ამა თუ იმ ინდივიდის გემოვნების ამბავია, მაგრამ მგონი ერთ რამეში კი მართალი ვარ და პატივცემული თანამემამულეებიც დამეთანხმებიან: ის, რაც ეროვნულია, — ქართული იქნება თუ სომხური, ებრაული თუ ბრაზილიური, ფრანგული თუ იაპონური — სასოებით მოსაფრთხილებელია ქართველის, სომეხის, ებრაელის, ბრაზილიელისა და იაპონელის მიერ. იმათ მიერ, ვინც საკუთარ თავს ამა თუ იმ ქვეყნის შვილად თვლის, იმ ქვეყნის შვილად, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც არამც თუ ეროვნული სპორტული სახეობები და თამაშობები, არამედ თითოეული კენჭიც კი ძვირფასი და მშობლიურია. სწორედ ამგვარად შეიძლება გვესმოდეს სამშობლოს სიყვარულისა და ქვეყნის პატრიოტობის წმიდათაწმიდა ცნება. არც ის არის სიახლე, რომ ეროვნული სპორტი მშვენიერი ბაზაა კლასიკური სპორტის განვითარებისა.

იაპონელები განსაკუთრებულ პატივს სცემენ თავიანთ ეროვნულ სპორტულ სახეობებს, საჭიდაო დარბაზი ტაძრის მსგავსად წმინდა ადგილად არის მიჩნეული და იქ ზღურბლის გადაბიჯება მხოლოდ ფეხშიშველაა ნებადართული. სწორედ ასეთმა ფანატიკურმა სიყვარულმა შეაძლებინა იაპონელებს ეროვნული ძიუდოს, ჯიუჯიტსუს და კარატეს საერთაშორისო სარბიელზე გამოტანა.

უფრო მეტიც. საქართველოში ჩამოვიდნენ, ქართული ჭიდაობის ილეთები წაიღეს და თავიანთი ძიუდო გაამდიდრეს (მერე ჩვენი ილეთებით ხშირად ჩვენვე გვიგებდნენ). აი რა შეუძლია ეროვნული სპორტის სიყვარულს.

საქართველოში ხელაღებით ყველა სპორტული ტრადიციების აღორძინება და დანერგვა საზიანოც კი იქნებოდა, რადგან ბევრი მათგანი ღრმა რელიგიურ ხასიათს ატარებს, მასში გამჯდარია შოვინიზმი, ანტაგონიზმი, დამპყრობლური ჩვევები. წარმოიდგინეთ, როგორი სანახავი იქნებოდა ორად გაყოფილ თბილისის ქუჩებში ხელ-კეტებითა და ჯაჭვებით შეიარაღებული ერთმანეთზე წასეული თანამედროვე მოკრივეები. ანდა რინგზე გამოსულმა ქართველმა ფალავანმა მოწინააღმდეგეს ჰიტლაყი რომ ამოჰკრას, ან ყურზე უკბინოს. ძველებური თბილისური კრივის აკრძალვა თავის დროზე საზოგადოებამ მოითხოვა და ამდაგვარი სახეობების აღორძინებას არავინ აპირებს.

სპორტის ეროვნული სახეობები მეცნიერულ მიდგომას მოითხოვს, ფრთხილ შერჩევას.

ხომ ჩამოშორდა ბევრ მასობრივ დღესასწაულს რელიგიური საბურველი, ხომ გაიწმინდა მავნე გადმონაშთებისგან და ახლა ამ დღესასწაულებში სიხარულით მონაწილეობს მთელი საქართველო, თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი თავაშვებულ ღრეობას და ღებოშებს. კარგი იქნება წრესგადასული „სუფრული“ ტრადიციების ნაცვლად სპორტის ეროვნულ სახეობებს თუ დავნერგავთ. გარწმუნებთ, რომ ბაში-აჩუკზე, ჩოლოყაშვილზე, საააკაძეზე და სხვა გმირებზე ნაკლები ინტერესით არ ჩაებმებიან ქართველები სპორტულ დღესასწაულებში.

* * *

ეს წერილი მუზეუმის ხსენებით დავიწყე და ისევ ამითვე მინდა დავასრულო.

როცა სტუმრები ჩამოდიან, სხვა ეროვნულ ღირსშესანიშნაობებთან ერთად მუზეუმშიც მიგვყავს და სიამაყით ვაჩვენებთ ხოლმე ჩვენი ერის კულტურულ საგანძურს, თუმცა საამაყოს და თავის მოწონებელს ჩვენს თანამედროვე ყოფაშიც ყოველ ნაბიჯზე [illegible]ბით.

მახსოვს, ქართული ჭედურობის ნიმუშებს მხოლოდ მუზეუმში შევტრფოდით, მარჯვენას ვუქებდით უძველეს ოსტატებს ბეშქენ და ბექა ოპიზარებს. სამოციან წლებში ირაკლი ოჩიაურმა, კობა გურულმა და სხვებმა მუზეუმის კედლებს გამოსტაცეს ერთ დროს დამარხული ხელოვნება და გაცოცხლებული ქართული ჭედურობით მთელი მსოფლიო განაცვიფრეს.

ხომ შეიძლება ანალოგიური რამ ეროვნული სპორტის საგანძურის ბაზაზეც მოხდეს? ხომ შეიძლება ეროვნული თამაშობები, სპორტის სახეობები გავაცოცხლოთ, საშუალო სკოლებში ფართოდ დავნერგოთ. დაე, ბავშვმა ქართული ანბანის გვერდით ეროვნული სპორტის ანბანიც ისწავლოს.

მაშინ სპორტის ეროვნული სახეობებისა და თამაშობების აუცილებლობას იგი ისევე აღიქვამს, როგორც მშობლიური ენის, სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულის აუცილებლობას და საბოლოო ჯამში ქართული სპორტის სახეობების ტრადიციებზე ასობით და ათასობით კარგი მამულიშვილი გაგვეზრდება.

გვინდა ბევრი ჩინებული მძლეოსანი, ფეხბურთელი, კარგი კალათბურთელი გვყავდეს. კანონზომიერი სურვილია, მაგრამ გვავიწყდება, რომ ერთიც და მეორეც და მესამეც, ახლა საერთაშორისო რომ გახდარა, ერთ დროს ეროვნული იყო: კალათბურთს ამერიკაში უფრო კარგად თამაშობენ იმიტომ, რომ კალათბურთი იქ დაიბადა და ფესვები ეროვნული, ამერიკული აქვს. ფეხბურთის სამშობლო ინგლისია და წლების მანძილზე ამიტომ ითვლებოდა ეს ქვეყანა „საფეხბურთო მოდის“ დამკანონებლად. იაპონელები საუკეთესო ძიუდოისტებს ზრდიდნენ და კარატეში დღესაც ბადალი არა ჰყავთ, ვინაიდან ძიუდოცა და კარატეც ამომავალი მზის ქვეყანაში დაიბადა.

ჩვენ რითი შეგვიძლია მოვიწონოთ თავი? ქართული სპორტის სახეობებიდან ხომ არც ერთი არ გამხდარა საერთაშორისო, ე. წ. კლასიკური...

მაგრამ ჩვენი თანამემამულე სპორტსმენები ბევრ იმ სპორტსმენებს ჯაბნიან, რომლებიც საკუთარ, ეროვნულ სპორტის სახეობებში გამოდიან, ეს იმიტომ, რომ საქართველო დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყანაა და ჩვენში ეროვნულ სპორტს ასეულობით წლის ისტორია გააჩნია.

„ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასაო“ — ბრძენს უთქვამს და თუ ჩვენი ეროვნული სპორტის რომელიმე სახეობა, ვთქვათ, ქართული ჭიდაობა ვერ გახდება საერთაშორისო, ჩვენი მომავალი თაობის გაზრდა სპორტის ეროვნულ სახეობებზე ხომ დაგვეხმარება მეტი და მეტი მსოფლიო რეკორდსმენისა და ოლიმპიური ჩემპიონის გამოზრდაში!

თ. ჭეიშვილი.

●

P. S. ავტორი მადლობას უხდის საუბრებისა და კონსულტაციებისათვის დოცენტებს: მ. მაისურაძეს, ა. ციბაძეს, ნ. შოშნიაშვილს, ნ. ლოლობერიძეს, დ. უვანიას, მასწავლებელ გ. კახიძეს. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს: ა. როქაბიძეს, ზ. შერეზადაშვილს. სპორტის დამსახურებულ ოსტატს, 83 წლის გ. მერკვილაძეს და პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორს ვ. ელაშვილს.

რევანში შედგა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 21 აგვისტო.

„დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:0 (1:0).

„დინამო“: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, ჰილაია, ჟვანია, ჩელებაძე (მინაშვილი), ყიფიანი, შენგელია (ცავა).

„ჩერნომორეცი“: ჟეკიუ, ჩილიბი, უსტინოვი, ბულანჯანი, ტარანი (გორიაჩევი), სკრიპნიკი, გოლოვინი, უსტიმჩიკი, შევჩენკო, შალამაი (ჟარკოვი), იშჩაკი.

მსაჯი ს. ბელიაევი (მოსკოვი).

„ჩერნომორეცთან“ შეხვედრა თბილისელთათვის მრავალმხრივ იყო საინტერესო. ჯერ ერთი, ამ ორ გუნდს განვლილი ტურისთვის იდენტური მაჩვენებლები ჰქონდა გათამაშების ცხრილში (გატანილი და მიღებული ბურთების გარდა), მეორეც — წლევანდელი ჩემპიონატის პირველი მარცხი დინამოელებმა სწორედ ოდესაში განიცადეს. და კიდევ: ჩვენს მაყურებელს კარგად ახსოვს, რომ შარშან და შარშანწინ თბილისის „დინამომ“ ოთხივე კალენდარული მატჩი მოუგო „ჩერნომორეცს“ თბილისშიც და ოდესაშიც, მაგრამ კიდევ უფრო ადრე ჩვენს სტადიონზე ოდესელებს ვუგებდით ანგარიშით 3:0, მათ კი ზედიზედ სამივე გოლი გაქვითეს — 3:3. ე. ი. „ჩერნომორეცი“ არაა სახუმარო მოწინააღმდეგე.

სახუმროდ არც არავის ეცალა. გაჩაღდა თამაში და პირველივე წუთებიდან დაიწყო სტუმრების კარის ნამდვილი შტურმი. დინამოელთა საერთო ურთიერთმოქმედება ისე საფუძვლიანად, გეგმიანად იყო ორგანიზებული დაცვაშიც და შუა მინდორშიც, რომ წინა ხაზის მოთამაშეებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ მხოლოდ შეტევისთვის ეწარმოებინათ თავიანთი მანევრები, არ შეენელებინათ იერიშები მთელს ფრონტზე.

ოდესელები საკმაო ხანს იცავდნენ თავს, როგორც იტყვიან, გოლის ზღვარზე. პირველი 20-30 წუთის მანძილზე მათ არც ერთხელ არ „გამოუხედავთ“ მასპინძელთა საჯარიმო მოედნისკენ, მთელი აქცენტი კეთდებოდა ყრუ დაცვაზე და მეკარე ჟეკიუზე. ამ უკანასკნელმა რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, მერე კი, როცა „დინამოს“ შეტევაში რეგულარულად ჩაებნენ ჩივაძე, კოსტავა, ხინჩაგაშვილი, ნახევარდაცვის სრული შემადგენლობა, ცხადი გახდა, რომ „ჩერნომორეცი“ დიდხანს ვერ გაძლებდა იმ ტაქტიკით, როცა ბურთი განუწყვეტლივ ტრიალებდა მის საჯარიმო მოედანთან და მხოლოდ ეპიზოდურად, შემთხვევით თუ გადაცდებოდა მოპირდაპირე ნახევარზე. ასეც მოხდა: 27-ე წუთზე ჟვანიას მიეცა მორიგი რეიდის შესრულების საშუალება, მან ოსტატურად განახორციელა ინდივიდუალური გარღვევა და ძალზე ეფექტური გოლი გაიტანა მაღალ კუთხეში — 1:0.

ბრძოლის სურათი ტაიმის ბოლომდე არ შეცვლილა: ოდესელები აგებდნენ, მაგრამ კვლავ საკუთარ ნახევარზე იყვნენ ჩაკეტილი და, რაც ერთობ მოულოდნელი იყო, დროსაც კი აჭიანურებდნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისი ასეთივე ანალოგიით მიმდინარეობდა: ანგარიშის გაზრდის საუკეთესო შესაძლებლობანი მიეცათ ყიფიანს და ჩივაძეს, დარტყმები კი ასცდა მიზანს. და აქ, 51-ე წუთზე, ოდესელებმა თავიანთი პირველი რეალური სახიფათო მომენტი შექმნეს „დინამოს“ კართან. მარჯვენა ფლანგიდან უსტიმჩიკის მიერ მოწოდებულ ბურთზე კარიდან ნაადრევად გამოვიდა გაბელია და შალამაიმ ფაქტიურად ღია კარს თავით აცილა დარტყმა...

ამის შემდეგ „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელები გაცილებით უფრო აქტიურად ამოქმედდნენ, ვიდრე ეს ადრე იყო. მართალია, საერთო უპირატესობა, თამაშის სადავეები კვლავ დინამოელებს ეპყრათ ხელთ, მაგრამ ამას ისეთი ტოტალური ხასიათი აღარ ჰქონდა, როგორც პირველ ტაიმში. დროდადრო სტუმრებიც უტევდნენ, რის გამოც ჩვენს მცველებს უკვე თავიანთი უშუალო და პირდაპირი ფუნქციების შესრულება უხდებოდათ კარის სიახლოვეს.

მართალია, დიდი ანგარიშით მოსაგები მატჩი მხოლოდ მინიმუმით მოვიგეთ, მაგრამ გათამაშების ამ საპასუხისმგებლო ეტაპზე მიზანი მიღწეული იქნა, 2 ქულა ავიღეთ და ამ უშუალო კონკურენტსაც გადავუსწარით.

ბ. ქორქია.

უმაღლესი ლიგა

სხვა მატჩები

21 და 22 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XX ტურის კალენდარული მატჩები:

„ფახთაქორი“ — „ნეფთჩი“ 2:2

„დინამო“ კ. — „ქაირათი“ 5:0

„შახტიორი“ — „არარატი“ 2:2

„კუბანი“ — ცსკა 0:1

„დინამო“ მნ. — „კარპატი“ 3:1

„ტორპედო“ — „სპარტაკი“ 0:2

ასკ რ. — „ზენიტი“ 0:0

„ლოკომოტივი“ „დინამო“ მ. 3:0

* * *

სურათებზე: გადამწყვეტი გოლი „ჩერნომორეცის“ კარში, რომელმაც თბილისის „დინამოს“ მოუტანა ესოდენ საჭირო გამარჯვება. დინამოელთა ნახევარმცველი ვ. ჟვანია სწრაფი რეიდით გავიდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და ზუსტად დაარტყა. მეკარე ი. ჟეკიუ (მარჯვენა სურათი) უძლური იყო.

ს. ვართანესოვის ფოტოები.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ.“	20	12	6	2	30—12	30
„დინ.“ კ.	20	13	3	4	41—14	29
ცსკა	20	9	7	4	22—18	25
„ზენიტი“	20	9	6	5	31—28	24
„დინ.“ თბ.	20	9	5	6	30—18	23
ასკ რ.	20	8	6	6	23—20	22
„შახტ.“	20	8	6	6	28—27	22
„დინ.“ მნ.	20	6	10	4	25—24	22
„ჩერნომ.“	20	8	5	7	20—23	21
„არარ.“	20	5	9	6	21—22	19
„ქაირათი“	20	6	6	8	19—29	18
„ნეფთჩი“	20	5	7	8	18—23	17
„დინ.“ მ.	20	4	9	7	18—22	17
„ტორპ.“	20	5	6	9	15—20	16
„კუბანი“	20	5	5	10	21—26	15
„ფახთაქ.“	20	4	7	9	15—24	15
„ლოკომ.“	20	4	6	10	21—28	14
„კარპ.“	20	3	5	12	13—33	11

განვლილ ხუთშაბათს გაიმართა I ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშების 28-ე ტურის კალენდარული შეხვედრები. ქუთაისსა და ლანჩხუთში ჩატარებულ მატჩებზე ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:0 (0:0).

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 21 აგვისტო.

„ტორპედო“: ქანთარია, გვაძაბია, გოგოლაძე, ანდღულაძე, აჯოევი (ფარულავა), ოქროპირაშვილი, ქვირია, ზ. სვანაძე, მხატვარი (ცერცხლიძე), ებანოიძე (გორგოძე), კვერნაძე.

„ტავრია“: იურკოვსკი, პანჩიკი, მატუხნო, შუდრიკი (სიროევი), კოროლი, ბარენცოვი, კატალიმოვი, სერებრიანსკი (პრიჩინენკო), პეტროვი, ნაუმენკო, სინელნიკი.

მსაჯი ა. პოლიკანოვი (ლენინგრადი).

მინდვრიდან გაძევებულია პანჩიკი, გაფრთხილებული არიან იგივე პანჩიკი, შუდრიკი, მატუხნო, ანდღულაძე.

დუბლიორები — 3:1.

ამ მატჩში ორივე გუნდი რთული პრობლემის წინაშე იმყოფებოდა. ქუთაისელთათვის დამარცხება ნიშნავდა აუტსაიდერთა რიგებში გადანაცვლებას, „ტავრიას“ კი წაგების შემთხვევაში შეიძლებოდა დაეკარგა ერთპიროვნული ლიდერობა.

ქუთაისელ ფეხბურთელთა ბოლო წარუმატებლობა ცნობილია. ამიტომ გუნდის წევრებს სერიოზული კრიტიკით მიმართეს ავტოქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ფეხბურთელებმა ეს კრიტიკა მიიღეს და უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩი დიდი მონდომებით ჩაატარეს. მართალია, პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა, მაგრამ ებანოიძეს, სვანაძეს, მხატვარს ადრევე შეეძლოთ დაეწინაურებინათ „ტორპედო“. სტუმრების მისამართით ის შეიძლება ითქვას, რომ ისინი გაჭირვებით იცავდნენ თავს და ხშირად უხეშობდნენ.

ეს უპირატესობა ტორპედოელებმა მეორე ტაიმშიც შეინარჩუნეს. 52-ე წუთზე „ტავრიის“ კართან დაინიშნა საჯარიმო, მცველებმა დროზე ვერ შექმნეს ხელოვნური „თამაშგარე მდგომარეობა“, რითაც კარგად ისარგებლა აჯოევმა, პირისპირ გავიდა მეკარესთან და გახსნა ანგარიში.

შემდეგ მასპინძლებმა სწრაფად გაითამაშეს კომბინაცია კვერნაძე-აჯოევი-სვანაძე, ეს უკანასკნელიც ისევ პირისპირ დარჩა მეკარესთან და მეორედ აიძულა იგი ბადიდან გამოეტანა ბურთი.

ა. ხურციძე.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0 (0:0).

ლანჩხუთი. „კოლხეთის“ სტადიონი. 21 აგვისტო.

„გურია“: იმნაძე, გაბრიჩიძე, ნემსაძე, ჯინჭარაძე, კვაჭანტირაძე, გ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, აბობაძე, ჩხაიძე, ტროიანი ([illegible]ჟიკაშვილი), მეგრელაძე.

„მეტალურგი“: [illegible], ჩესნოკოვი, დაშკ[illegible], [illegible]რენკო, შანცინი, კლიუჩიკი, სნეგირიოვი, ხოდუსი, შარიი, ხოხლოვი, ვასილჩენკო (ჩენცოვი).

მსაჯი ი. ურლიუსი (ვილნიუსი).

დუბლიორები — 3:1.

ლანჩხუთელი ფეხბურთელები თავიანთი ბოლო წარმატებების განმტკიცების სურვილით გამოვიდნენ მინდორზე, მით უმეტეს, რომ ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ მათს უშუალო კონკურენტს წარმოადგენდა გათამაშების ცხრილში.

„გურიის“ მოთამაშეებს ცდა არ დაუკლიათ მთელი ტაიმის მანძილზე, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ჩქარობდნენ და ვერ იყენებდნენ ანგარიშის გახსნის კარგ შესაძლებლობებს.

შესვენების შემდეგ მასპინძლები მეტი მონდომებით და, რაც მთავარია, შედეგიანად მოქმედებდნენ. მათი ერთ-ერთი იერიშისას თავისი კარის სიახლოვეს კვაჭანტირაძის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა დაშკევიჩმა, რისთვისაც დაინიშნა პენალტი. კოპალეიშვილმა ზუსტად შეასრულა დარტყმა — 1:0. ამის შემდეგ კოპალეიშვილს კიდევ ერთხელ შეექმნა კარგი შანსი და მან არც იგი დაკარგა: მეგრელაძის გადაცემას ზუსტად მისცა გზა მოწინააღმდეგის კარში — 2:0.

ზაპოროჟიელთა ყველა ცდას შეეცვალათ ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია. „გურიამ“ დამაჯერებლად მიიყვანა თამაში ბოლომდე.

ა. ორმოცაძე.

I ლიგა

სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „პამირი“ (დუშანბე) — ასკ (ოდესა) 3:2, „ბუსტონი“ (ჯიზაკი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 0:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 5:1, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — ასკ (ხაბაროვსკი) 1:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 3:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 3:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	28	17	3	8	34—28	37
„ტავრია“	27	15	7	5	49—23	37
„მეტ-ტი“	28	16	4	8	43—25	36
„პამირი“	28	13	7	8	41—34	33
„ფაკელი“	28	12	9	7	29—21	33
„ისკრა“	28	13	4	11	30—26	30
„ზარია“	28	13	3	12	45—41	29
„კოლოსი“	28	11	7	10	42—30	29
„ბუსტ.“	28	11	7	10	30—28	29
„სპ.“ ი.-ფ.	28	11	7	10	36—38	29
„ჟალგირ.“	29	10	9	9	36—24	29
„დინამო“	28	13	2	13	37—40	28
ასკ ხ.	28	11	6	11	27—37	28
„შინიკი“	28	9	10	9	26—27	28
„ნისტრუ“	28	11	5	12	32—30	27
„ტორპ.“	28	10	7	11	31—30	27
„სპ.“ ორ.	28	10	6	12	26—32	26
„კუზბასი“	28	11	3	14	38—49	25
„გურია“	28	9	7	12	40—48	25
ასკ ოდ.	27	9	6	12	32—29	24
„მეტ-გი“	28	7	9	12	32—46	23
„კრ. სოვ.“	28	6	10	12	18—33	22
„სპარ.“ ნ.	28	6	9	13	23—33	21
„ურალმ.“	28	5	5	18	17—42	15

უნგრელ ფეხბურთელთა გამარჯვება

ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთისა და შვეციის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. გამარჯვება წილად ხვდათ უნგრელებს — 2:0, ამასთან მათ ორივე გოლი გაიტანეს შეხვედრის ბოლო 20 წუთში. ჯერ უნგრელთა ცენტრალური მცველის ბალინტის მიერ 30 მეტრის მანძილიდან დარტყმული ბურთი მოხვდა შვეციის გუნდის მცველს ბილდს და გავიდა კარში, შემდეგ კი ბურჩამ გაიტანა მეორე გოლი.

უნგრეთის ნაკრების შემადგენლობიდან პრესა გამოჰყოფს მცველებს ბალინტს, პაროცაის და ტოტს, აგრეთვე, ნახევარმცველ პასტორს.

უნგრეთის გუნდი 27 აგვისტოს შინ მიიღებს სსრ კავშირის ნაკრებს, რომლისთვისაც ეს საწვრთნელი შეხვედრა იქნება 3 სექტემბრის მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩისთვის ისლანდიის ნაკრებთან (თამაში უნდა გაიმართოს რეიკიავიკში).

საბჭოთა ნაკრებში თბილისის „დინამოდან“ მიწვეული არიან ა. ჩივაძე და თ. სულაქველიძე.

პანენკა — „მონაკოში“

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ნახევარმცველი პანენკა ამიერიდან საფრანგეთის კლუბ „მონაკოში“ გამოვა. უნდა ითქვას, რომ არგენტინის ნაკრების მწვრთნელ ლ. მენოტის, რომელიც ევროპის ჩემპიონატის თამაშებს ესწრებოდა, ყველაზე მეტად სწორედ პანენკა მოეწონა.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მეორე ცნობილი მოთამაშე ონდრუში მიუნხენის „ბაიერნში“ გამოვა, პოლონეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი მაშტალერი — „ვერდერში“ (ბრემენი, გფრ).

ბაროტის განცხადება

ცნობილი უნგრელი მწვრთნელი ფეხბურთში ლ. ბაროტი (ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი 1958, 1962, 1966 და 1978 წლებში) ბოლო ხანებში სათავეში ედგა ავსტრიის პირველი ლიგის კლუბს „ვაკერს“. ახლა ბაროტიმ განაცხადა, რომ არ განაახლებს ხელშეკრულებას ამ კლუბთან და ასაკის გამო საერთოდ აღარ იმუშავებს მწვრთნელად.

II ლიგა, IX ზონა

II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. მოგვყავს მათი შედეგები: „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 0:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 1:0, „არაბკირი“ (ერევანი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 2:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომ.“	21	12	6	3	33—18	30
„კოტაიკი“	21	13	1	7	36—19	27
„არაბკ.“	21	12	1	8	37—24	25
„კოლხ.“	21	11	1	9	27—24	23
„კოლხოზ.“	21	11	1	9	34—24	23
„დინ.“ ს.	21	10	2	9	29—20	22
„დილა“	21	9	3	9	33—38	21
„ყარაბ.“	21	9	3	9	26—27	21
„ხაზარი“	21	8	5	8	21—21	21
„ავტომ.“	21	8	4	9	24—26	20
„პროგრ.“	21	9	1	11	19—26	19
„დინ.“ ზ.	21	8	2	11	29—30	18
„მეტალ.“	21	8	2	11	25—31	18
„არაზი“	21	6	5	10	18—28	17
„შირაკი“	21	4	9	8	21—28	17
„დინ.“ ბ.	21	5	4	12	18—39	14

ხვალ ფინალია

დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში. პირველი ფინალისტი, როგორც ცნობილია, გახდა თელავის „კახეთი“, მეორე კი გამოავლინა ნეიტრალურ მინდორზე (გორში) ჩატარებულმა ნახევარფინალურმა მატჩმა ვანის „სულორისა“ და თბილისის ზოოვეტინსტიტუტის გუნდს შორის. მატჩი მოიგეს ვანელებმა ანგარიშით 3:1.

ამრიგად, რესპუბლიკური თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „კახეთი“ (თელავი) და „სულორი“ (ვანი). ეს მატჩი 24 აგვისტოს გაიმართება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე. დასაწყისი 18 საათზე.

ოლიმპიადის ექო

დაუვიწყარი დღეები

მეხიკო. „ისტორიაში საუკეთესო ოლიმპიური თამაშები“ — ასე დაასათაურა გაზეთ „სოლ დე მეხიკომ“ ოლიმპიადა-80-სადმი მიძღვნილი სპეციალური დამატება, რომლის ფურცლებზე იბეჭდება ფოტოსურათები, მასალები საუკეთესო სპორტსმენებზე, თამაშების შედეგების ტექნიკური მონაცემები.

1980 წლის ოლიმპიური თამაშების დროს მოსკოვში გატარებული დღეები დაუვიწყარია, — წერს გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი რაულ სანჩეს იდალგო.

„აშშ-ის პრეზიდენტ კარტერის ბოიკოტი ჩაიფუშა და ბუმერანგივით თვით შეერთებული შტატების წინააღმდეგ იქნა მიმართული“, — ხაზგასმით წერს „სოლ დე მეხიკო“ (საკდესი).

განიარაღებისა და მშვიდობისთვის

ჰელსინკი. „სოციალისტურ ქვეყანაში პირველად მოწყობილმა ზაფხულის ოლიმპიურმა თამაშებმა გაამდიდრა სპორტული სამყარო გრანდიოზული დადებითი გამოცდილებით. მოსკოვის თამაშები ჩატარდა სპორტული სულისკვეთებით, მეგობრობის, ოლიმპიური იდეალებისა და ოლიმპიური მოძრაობის ერთიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ნიშნით“, — „ტიედონანტაიაში“ დაბეჭდილ წერილში ხაზგასმით აღნიშნავს მუშათა სპორტული კავშირის მმართველობის წევრი ენსიო ლაინე. სპორტული თვალსაზრისით, — წერს ლაინე, — მოსკოვის ოლიმპიადის მიღწევები ჭეშმარიტად შთამბეჭდავია — ამას ამტკიცებს მოსკოვში დამყარებული ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდები.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიურ მოძრაობაში განვითარებადი ქვეყნების წვლილი აქ მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა თამაშებში.

„ოლიმპიური მოძრაობის ძირის გამოსათხრელად მიმართული ბოიკოტი თვით მისი ორგანიზატორების წინააღმდეგ შებრუნდა, — აღნიშნა ე. ლაინემ, — ოლიმპიადის წარმატება მოწმობს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობას შეუძლია მიაღწიოს უფრო მნიშვნელოვან მიღწევას მშვიდობისა და განიარაღების საქმეში“. (საკდესი).

ჩემპიონის რეიდი

ბრატისლავა. კუიბიშეველი ოლიმპიური ჩემპიონის ს. სუხორუჩენკოვის გაბედულმა რეიდმა, რომელიც მან სლოვაკიის ველორბოლის IX ეტაპზე ჩეხ სპორტსმენ ირჟი შკოდასთან ერთად შეასრულა, იგი მე-12-დან საერთო მე-2 ადგილზე გადაიყვანა. ამ სპორტსმენებმა ძირითად ჯგუფს 10 წუთით გაუსწრეს და ერთმანეთში „გაითამაშეს“ ამ ძნელი 163-კილომეტრიანი ტრასის 14 სამთო ფინიშის უმრავლესობა. ამ ეტაპზე გაიმარჯვა შკოდამ (4:49.20) და რბოლის ლიდერიც გახდა, სუხორუჩენკოვი მეორე მივიდა ფინიშთან — 4:50.42. ეტაპზე მესამე იყო რ. გალიალეტდინოვი (კუიბიშევი) — 5:01.18. (საკდესი).

კვალი კეთილი ადამიანისა

უკვალოდ არაფერი იკარგება ცხოვრებაში. სამწუხარო და გულდასაწყვეტი ის არის მხოლოდ, რომ ზოგის ცხოვრება ხეს მოწყვეტილი ტოტივით უეცრად წყდება და განუზომელ ტკივილს გვიტოვებს გულში.

გოგი ბახტურიძემ არც ისე გრძელი გზა განვლო ამ წუთისოფელში, აი, კვალი კი ნათელი დაგვიტოვა — კვალი კეთილი ადამიანისა, სამართლიანი და პატიოსანი მოქალაქისა, მზრუნველი მეოჯახისა...

იგი ჩვენთან, ჩვენს შორის სპორტით მოვიდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. სპორტმა გამოაწრთო მისი ხასიათი, მისი კაცობა. აქედან გაუდგა იგი ცხოვრების გზას.

ცხოვრების საუკეთესო წლები კეთილსინდისიერად შესწირა კალათბურთს. არ უნანია, ვინაიდან კალათბურთი მისი კაცობის სკოლა იყო, ყველა სიხარულის თუ მწუხარების წყარო მკვებავი. ხასიათიც სწორედ მაშინ ჩამოუყალიბდა, ჩვენთვის აგრერიგად ნაცნობი და ახლობელი ხასიათი, ჯერ კიდევ გამოუცდელ, მაგრამ ცხოვრების სიბრძნეს ხარბად დაწაფებულ, ბრძოლის ჟინით შეპყრობილ სპორტსმენს.

სტუდენტობაში უნივერსიტეტის გუნდის ბურჯი იყო, მისი აქტიური ქომაგი. მერე როცა დრო დადგა, დიდ კალათბურთსაც ეზიარა: ჯერ თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში თამაშობდა, მერე კი დინამოელთა 50-იანი წლების სახელოვან კოლექტივში.

თამაშობდაო ვამბობთ, მაგრამ იქნებ ზუსტად ვერც გამოვხატეთ გოგი ბახტურიძის ადგილი სპორტში, რაღაც დავაკელით, რაღაც არსებითი გამოგვრჩა კიდეც. იმიტომ, რომ იგი არა მარტო თამაშობდა, არამედ იწვოდა კალათბურთში, თავისი ცხოვრების მცირე ნაწილაკს სტოვებდა ყოველ მატჩში, ყოველ ბრძოლაში.

სახელს გოგი ბახტურიძე არ ეძებდა — ეს ყველამ ვიცით, თორემ ტიტულები არავისზე ნაკლები არ მიუღია. სახელი არასოდეს ყოფილა მისი არსებობის მიზანი. სწორედ ამიტომ, ყოველი გამარჯვების მერეც ისეთივე დიდსულოვანი იყო, როგორც მარცხის ჟამს, დიდსულოვანი და რაღაც საგანგებოდ რაინდული, ამაღლებული.

გამარჯვება ახარებდა როგორც ბავშვს, თუმცა კი სულ ერთი იყო რომელ ტურნირში აღწევდა მას გუნდი — უნივერსიტეტში თუ რომელიმე საქალაქო შეჯიბრებაში, საკავშირო ჩემპიონატზე თუ თასის ფინალში. ყველა წარმატებას გულუბრყვილოდ იტევდა გულში, მაგრამ არაფერი გვრიდა ისეთ სიხარულსა და კმაყოფილებას, როგორც ბრძოლა ალალი და უშელავათო. ბრძოლა მისი სტიქია იყო. სწორედ აქ შლიდა ბოლომდე ფრთებს მისი მოუსვენარი ბუნება.

სიმართლეს მოწყურებული და სიმართლისთვის თავდადებული მერეც, როცა სპორტს ჩამოსცილდა, კანონიერების სამსახურში ჩადგა და ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე პატიოსან შრომას, კაცურ ცხოვრებას უქადაგებდა ადამიანებს. ასეთი ახსოვთ გოგი ბახტურიძე მისი ცხოვრების ბოლო პერიოდთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებულ ნაცნობ-მეგობრებს — ყვარლის, საგარეჯოს, თბილისისა და რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლებს.

ჩვენც კარგად ვიცნობთ ასეთ გოგი ბახტურიძეს, მეექვსე ათწლეულში გადაბიჯებულ, ცხოვრების სიბრძნით წელგამართულ, ახოვან ვაჟკაცს, ლაღ მოსაუბრესა და კეთილ მეგობარს.

ძნელია, ძალზე ძნელი გოგი ბახტურიძის დავიწყება, მცირე ხნით მაინც თუ გიცხოვრია მის გვერდით, მასთან ერთად გიბრძოლია ან გიმუშავია.

ამხანაგების ჯგუფი.

● ჭადრაკი

მაია ჩიბურდანიძე— ლიდერთა შორის

ოთხ ქალაქში გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა 48-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირები. გთავაზობთ შედეგებს 9 ტურის შემდეგ.

ტალინის ნახევარფინალში წინ არიან ვ. ოსნოსი, ვ. ჩეხოვი — 6-6 ქულა, მაია ჩიბურდანიძე და ს. დვოირისი — 5,5-5,5.

IX ტურში დიდოსტატმა ქალმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დიდოსტატ დ. ბრონშტეინთან, აგრეთვე დაუზავდა ი. ელვესტს წინადღით გადადებულ პარტიაში.

ფინიშამდე 6 ტური დარჩა. მომდევნო ტურებში მაია შეხვდება ვ. ცინგორნს, დიდოსტატ ა. სუეტინს, ა. კრემენეცკის, ა. ვეინგოლდს, ვ. დიდიშკოსა და ვ. ჟურავლიოვს.

დნეპროპეტროვსკში კვლავ ლიდერობს დიდოსტატი ე. ვასიუკოვი — 6,5. ფ. სიდეიფ-ზადეს 5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, ა. პანჩენკოსა და ლ. იურტაევს — 5-5.

პირველი პარტია წააგო ზ. სტურუამ ვ. ოხოტნიკთან, ხოლო კანცლერთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ზ. აზმაიფარაშვილი დამარცხდა ა. ჩერნინთან. სტურუას 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, აზმაიფარაშვილს — 3.

კრასნოდარის ნახევარფინალის IX ტურში პირველად დამარცხდნენ ლიდერები ს. პალატნიკი (ცოდკოვთან), და ვ. ცეშკოვსკი (მოჩალოვთან), მათ დაეწია ს. ლპუტიანი, რომელმაც ბაგიროვს სძლია. ლიდერებს 6-6 ქულა აქვთ.

ე. უბილავამ VIII ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დიდოსტატ ი. პლატონოვთან, IX-ში წააგო ა. პეტრუშინთან. უბილავას 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

კრასნოარმეისკში დაწინაურებულთა შორისაა დიდოსტატი ე. გუფელდიც. ი. დორფმანის და ლ. ფსახისის (6-6) შემდეგ მას, გ. კუზმინს და ი. პოლოვოდინს — 5,5-5,5 ქულა აქვთ, IX ტურში გუფელდმა მოუგო კორსუნსკის.

ლიდერობს ქეთევან მელაშვილი

კიშინიოვი, 22 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა მე-40 ჩემპიონატის ნახევარფინალში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება და IX ტურის შეხვედრები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას თ. ხუგაშვილმა მოუგო ხ. როზიბაევას (ჩარჯოუ). ქ. მელაშვილმა ზუსტი დაცვით შეძლო მ. ხამრიკულოვას (სამარყანდი) ზედმეტი პაიკის ნეიტრალიზაცია და ყაიმს მიაღწია. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ხამრიკულოვა—ხუგაშვილის პარტია.

IX ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ლიდერების გ. სტრუტინსკაია (მოსკოვი) — ქ. მელაშვილის შეხვედრამ. დაძაბული თამაში ყაიმით დამთავრდა. ხუგაშვილი დამარცხდა ტ. ურეცკაიასთან (მინსკი). თ. ბელოვამ (ლენინგრადი) მოუგო როზიბაევას, ე. გოლდმანმა (რიგა) — ხამრიკულოვას. დაზავდნენ ლ. მუჩნიკი (ნიკოლაევის ოლქი) — ლ. პიარნპუუ (ტალინი), ა. გრინფელდი (კალინინგრადი) — ე. ელინა (დნეპროპეტროვსკი) და ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) — რ. პოპივოდა (მოსკოვი).

9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ქ. მელაშვილი — 7,5 ქულა, გ. სტრუტინსკაია — 7, ე. ბელოვა — 6,5, ლ. მუჩნიკი, რ. კარტანაიტე (ვილნიუსი) — 5,5-5,5.

ვ. ბახტაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალიზაციის სტუდენტი, ოსტატობის კანდიდატი.

ყველა მატჩი მოიგეს

მექსიკაში ახალგაზრდა (26 წლამდე) მოჭადრაკეთა მსოფლიოს გუნდური პირველობის ქვეჯგუფში საბჭოთა ნაკრებმა პრაქტიკულად გაინაღდა ფინალის საგზური. ჩვენმა მოჭადრაკეებმა სძლიეს შოტლანდიის (3:1), შვეიცარიის (3,5:0,5) და იემენის არაბთა რესპუბლიკის (4:0) კოლექტივებს.

ფინალში გასვლის რეალური შანსი აქვთ აგრეთვე კუბის, არგენტინის, ბრაზილიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს.

ერთი ფინალისტი ცნობილია

ბუენოს-აირესში დამთავრდა ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი პოლუგაევსკისა და კორჩნოის შორის. XIV პარტიაში გაიმარჯვა კორჩნოიმ და ფინალში გავიდა. დამთავრებული შეხვედრის ანგარიშია 7,5:6,5.

პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში კორჩნოი შეხვდება მეორე ნახევარფინალში გამარჯვებულ დიდოსტატს. ამჟამად ჰიუბნერ-პორტიშის ორთაბრძოლის ანგარიშია 4:4. IX და X პარტიები ჯერჯერობით გადადებულია.

● შაში

4 ტურის შემდეგ

ჰოლანდიის ქალაქ დე-სირში მიმდინარეობს მსოფლიო პირველობები 100-უჯრიან შაშში ქალთა და ჭაბუკთა შორის.

ქალთა ტურნირში 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ ვ. პოლმანი (ჰოლანდია) — 4 ქულა, ე. ალტშული — 3,5, მსოფლიო ჩემპიონი ლ. სოხნენკო (ორივე — სსრ კავშირი) — 3.

ჭაბუკთა შეჯიბრებაშიც 4 ტური გათამაშდა. „ა“ ჯგუფში წინ არიან ა. დიბმანი (სსრ კავშირი), ფიოლი (საფრანგეთი) და ლემენსი (ბელგია) — 2,5-2,5, „ბ“ ჯგუფში — ა. ბალიაკინი (სსრ კავშირი), ბინენბალმი (ჰოლანდია) და ველტმანი (კანადა) — 2,5-2,5.

დაწინაურდა საქართველოს გუნდი

იზმაილი (ოდესის ოლქი) 22 აგვისტო. შაშში აქ მიმდინარე სსრ კავშირის თასის გათამაშებაში დაწინაურდა საქართველოს ნაკრები. 3 ტურის შემდეგ მას 17 ქულა აქვს, უზბეკეთის გუნდს — 15.

ელიან ტანვარჯიშის დღესასწაულს

ლათინური ამერიკის ქვეყნების სპორტული ორგანიზაციების მიწვევით ოკეანეს გაღმა გაემგზავრა საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა, მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა და აკრობატთა დიდი ჯგუფი. ისინი 30 საჩვენებელ გამოსვლას გამართავენ ბრაზილიაში, არგენტინაში, ვენესუელასა და კოლუმბიაში. მოუთმენლად ელიან საბჭოთა სპორტსმენებს სან-პაულუში, რიო-დე-ჟანეიროში, პორტოალეგროში, ვახია ბლანკაში, კორდოვაში, სანხუანში, ბოგოტაში.

აი ვის იხილავენ ამ ქალაქების მაცხოვრებლები: სპორტულ ტანმოვარჯიშეებს ელენე დავიდოვას, ნელი კიმს, ნატალია შაპოშნიკოვას, სტელა ზახაროვას, მარია ფილატოვას, ელენა ნაიმუშინას, სვეტლანა აგაპოვას, ტატიანა არჟანიკოვას, ელენე პოლევაიას, ალექსანდრე დიტიატინს, ნიკოლოზ ანდრიანოვს, ედუარდ აზარიანს, ბოგდან მაკუცს, თევდორე კულაკსიზოვს, ალექსანდრე ტკაჩოვს, მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს ლალი დოლიძეს და ელენე ბარინოვას, აკრობატებს ვლადიმერ ალმანოვს და ვლადიმერ ნაზაროვს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

„ნონა“ ჰქვია? მაშ, საუკეთესო უნდა იყოს!



ყველაფერი, რაც გამოჩენილი მოჭადრაკის სახელს უკავშირდება, მხოლოდ საუკეთესო უნდა იყოს. ასე ფიქრობენ ნონა გაფრინდაშვილის მშობლიურ ზუგდიდში ახლახან გახსნილი სპორტული მაღაზია „ნონას“ მესვეურები.

ყველას, ზუგდიდელებსა და მათ სტუმრებს ეპატიჟება სპორტული მაღაზია „ნონა“.

გაერთიანება „სპორტსაქონელი“.

• • •

სურათზე: ზუგდიდის სპორტული მაღაზია „ნონა“.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 ~~15~~ 16 17 უე 02349